

გაუარესებული კრიმინოგენული სიტუაციისა და ადამიანის უფლებების დარღვევის საზარელი ფაქტების ფონზე, ოკუპირებულ აფხაზეთში 2017 წლის პირველი ნახევარი გამოირჩეოდა რუსეთის ფედერაციის უმაღლესი რანგის პოლიტიკური თანამდებობის პირების, მათ შორის რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის ვიზიტებით.

მოგეხსენებათ, რომ 2017 წლის 8 აგვისტოს, ოკუპირებულ აფხაზეთში, მოკლევადიანი სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი. რუსული დელეგაცია აფხაზეთს სულ 7 ვერტმფრენით 2 საათით ეწვია. პუტინს თან ახლდნენ მისი თანამემწე ვლადისლავ სურკოვი, რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე რაშიდ ნურგალიევი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი, რუსეთის სოფლის მეურნეობის მინისტრი ალექსანდრე ტვაჩოვი, ჯანდაცვის მინისტრი ვერონიკა სკვორცოვა და სხვა ოფიციალური პირები. ქ ბიჭვინთაში შედგა რუსეთის პრეზიდენტისა და ოკუპირებული აფხაზეთის პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას შეხვედრა, რომლის დასრულების შემდეგ გაიმართა ბრიფინგი, სადაც რაულ ხაჯიმბამ და ვლადიმერ პუტინმა ისაუბრეს შეხვედრის შედეგებზე და სამომავლო გეგმებზე (*ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე*, *Время новостей* <https://www.youtube.com/watch?v=ONJUG06mE8I&t=593s>).

პუტინისა და ხაჯიმბას (ასევე გაფართოებული ფორმატის) შეხვედრები დახურული იყო. მათი დასრულების შემდეგ რუსეთის ფედერაციის ჯანდაცვის მინისტრმა ვერონიკა სკვორცოვამ და დე-ფაქტო ჯანდაცვის მინისტრმა თამაზ წახნაკიამ ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას „აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაზღვევის ორგანიზებისა და მათი რუსეთის ფედერაციის სამედიცინო ორგანიზაციებში მკურნალობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“.

ვლადიმერ პუტინის ვიზიტის მიზეზებზე და მიზნებზე ბევრი ისაუბრეს ქართველმა, აფხაზმა და რუსმა ექსპერტ-ანალიტიკოსებმა. ზოგიერთი საუბრობდა, რომ ეს იყო საქართველოში მაიკ პენსის ვიზიტზე და ნატოს „ღირსეული პარტნიორი 2017“ მრავალეროვნულ სწავლებაზე პასუხი, მაგრამ როგორც ვიხილეთ არც დახურული შეხვედრის დაწყებამდე (არც შემდეგ) ვლადიმერ პუტინს და რაულ ხაჯიმბას ამ თემაზე არ უსაუბრიათ.

აგრეთვე, გაჟღერდა რამდენიმე ქართველი ექსპერტის საფუძველს მოკლებული მოსაზრება, სადაც ვლადიმერ პუტინის ვიზიტის მიზეზად ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსი ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა სახელდებოდა. ისმოდა ვერსიებიც, თითქოს ვლადიმერ პუტინის ჩამოსვლის მიზეზი „აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების დაზღვევის ორგანიზებისა და მათი რუსეთის ფედერაციის სამედიცინო ორგანიზაციებში მკურნალობის სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ ორმხრივ შეთანხმებაზე ხელმოწერა იყო.

იმისათვის, რომ გავიგოთ რუსეთის პრეზიდენტისა და სხვა უმაღლესი რანგის პოლიტიკოსების, პოლიტიკური თანამდებობების პირების ოკუპირებულ აფხაზეთში ვიზიტის მიზეზი/მიზანი, საჭიროა გავიხსენოთ არაღიარებულ რესპუბლიკაში 2017 წლის გაზაფხულიდან განვითარებული შიდაპოლიტიკური მოვლენებისა და ვიზიტების ქრონოლოგია.

2017 წლის 18-20 აპრილს, ოკუპირებულ აფხაზეთში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის საგარეო უწყების ხელმძღვანელი სერგეი ლავროვი. ვიზიტის მიზეზად დასახელდა ქ. სოხუმში რუსეთის ფედერაციის საელჩოს ახალი შენობის გახსნა.

რაულ ხაჯიმბასთან შეხვედრის შემდეგ გამართულ პრეს-კონფერენციაზე იგი მიესალმა სოხუმის დე-ფაქტო ხელმძღვანელობასთან არსებულ ურთიერთობებს და განაცხადა, რომ მან და ხაჯიმბამ კიდევ ერთხელ დაადასტურეს მზადყოფნა მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის გაძლიერების მიმართ ყველა სფეროში, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება სავაჭრო, ეკონომიკურ და საინვესტიციო ურთიერთობებს მიექცევა.

"კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციასთან" (ОДКБ) სოხუმის პოტენციური თანამშრომლობის თაობაზე დასმული კითხვის საპასუხოდ, ლავროვმა აღნიშნა, რომ მოსკოვი რა თქმა უნდა, მიესალმებოდა ამ თანამშრომლობას, თუმცა დასძინა, რომ ამას ორგანიზაციის ყველა წევრის მხარდაჭერა დასჭირდებოდა. რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა

ასევე აღნიშნა, რომ თავად რუსეთმა უზრუნველყო აფხაზეთის უსაფრთხოება „ყველაზე სანდო გზით“.

მისი განცხადებით, „აფხაზეთის უსაფრთხოება უზრუნველყოფილი და გარანტირებულია მისი ურთიერთობებით რუსეთის ფედერაციასთან, როგორც ორ ქვეყანას შორის საერთაშორისო ხელშეკრულებებით, ასევე კონკრეტული დონის მიხედვით, რომელსაც რუსეთი ახორციელებს აფხაზეთის შეიარაღებულ ძალებთან თანამშრომლობით იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქვეყანა არასდროს აღარ გახდეს გარე აგრესიის სამიზნე“ (<https://www.youtube.com/watch?v=HRYSoIBscek>)

ლავროვის ვიზიტი, აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების მიერ მაშინ შეფასდა, როგორც ოკუპირებული აფხაზეთისადმი რუსეთის მხარდაჭერის დასტური, რაც საკმარისი არ აღმოჩნდა ე.წ. ოპოზიციისთვის. ერთი თვის შემდეგ, 29 ივნისს, ქ.სოხუმში, სასტუმრო „ინტერ სოხუმის“ საკონფერენციო დარბაზში, ე.წ. ოპოზიციური პარტიის „ამცახარას“ მე-9 ყრილობა ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდა ოკუპირებული აფხაზეთის ყველა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოსული 350 ე.წ. დელეგატი, ოკუპირებულ აფხაზეთში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელები, დე-ფაქტო პარლამენტის დეპუტატები და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები (*ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <http://abkhazinform.com/item/6090-v-konferents-zale-gostinitsy-inter-sukhum-otkrylsya-ikh-s-ezd-oppozitsionnoj-politicheskoy-partii-amtsakhara>*).

„ამცახარას“ პარტიის პოლიტსაბჭოს წევრმა, რამაზ ჯოჰუამ, ყრილობის გახსნისას განაცხადა, რომ უნდა განიხილონ ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული შიდაპოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. აგრეთვე, არაღიარებულ რესპუბლიკაში დაგროვილი მრავალი პრობლემის გადაჭრის შესაძლო გზები.

ყრილობაზე სიტყვით გამოვიდა პარტია „ედინაია აფხაზიას“ თავმჯდომარე სერგეი შამბა. მან ვრცლად ისაუბრა ოკუპირებულ აფხაზეთში შექმნილ რთულ შიდაპოლიტიკურ მდგომარეობაზე, მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ და კრიმინოგენულ სიტუაციაზე.

„მოკლედ რომ აღვწეროთ ჩვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვიმყოფებით სახელმწიფოებრიობის კრახის ზღვარზე და პერსპექტივაში კი ჩვენი ერის გაქრობის წინაშე“-განმარტა მან.

სერგეი შამბას აზრით, არაღიარებული რესპუბლიკა დგას ორი საფრთხის წინაშე. პირველი-აფხაზური ეთნოსის შთანთქმა უფრო მრავალრიცხოვანი ეთნოსის მიერ და აფხაზური ენის გაქრობა. მეორე-ეთნორადიკალიზმის გაჩენა, რომელიც პირველ რიგში თვითონ აფხაზებს დააზარალებს.

„ედინაია აფხაზიას“ თავმჯდომარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ეთნიკური რადიკალიზმი აუცილებლად გამოიწვევს აფხაზებსა და სხვა ეთნიკურ ჯგუფებს შორის კონფლიქტს. პირველ რიგში სომხებთან, რუსებთან და მეგრელებთან“.

სერგეი შამბა ოკუპირებული აფხაზეთის პოლიტიკურ სისტემასაც შეეხო და თქვა, რომ მისი აზრით ოკუპირებულ აფხაზეთში ვერ იმუშავებს პოლიტიკური სისტემა, რომლითაც მოგებული იღებს ყველაფერს.

სიტყვით გამოსვლის დასარულს, მან განაცხადა: „სამწუხაროდ, იძულებული ვარ მოვახდინო იმ ფაქტის კონსტატაცია, რომ აფხაზეთის რესპუბლიკის ხელისუფლებაში და ოპოზიციაში ამ ბოლო დროს ჩნდება ხალხი, რომლებიც, პოლიტიკური სისტემის რეფორმების სახელით, აპირებენ ერთი პირის ხელში მთელი ძალაუფლების კონცენტრირებას“. (*ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <http://abkhazinform.com/item/6098-sergej-shamba-my-stoim-u-cherty-za-kotoroj-nas-ozhidaet-krakh-nashej-gosudarstvennosti>*)

29 ივნისს ჩატარებული ე.წ. მე-9 ყრილობის შემდეგ, ე.წ. ოპოზიციურმა პარტიამ „ამცახარა“ მიიღო რეზოლუცია, რომლის დასკვნით ნაწილში ვკითხულობთ, „10 დღის განმავლობაში რეზოლუციის პუნქტების შეუსრულებლობის შემთხვევაში, პოლიტიკური პარტია იტოვებს უფლებას ცალმხრივად გავიდეს შეთანხმებიდან. (საუბარია ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის შეთანხმებაზე, რომელიც 2016 წლის 19 დეკემბერს იქნა ხელმოწერილი). (*ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე AMЦAXAPA <http://www.amtsakhara.org/ru/events/publication/841/>*)

ნათელია, რომ საკმაოდ დამაბული შიდაპოლიტიკური სიტუაცია უძღოდა წინ ვლადიმერ პუტინის მრჩევლის ვლადისლავ სურკოვის ვიზიტს 2017 წლის 3 ივლისს, ქ. სოხუმში.

ოფიციალური ცნობით, სურკოვის ვიზიტის მიზეზი ოკუპირებულ აფხაზეთში, რუსეთის ფინანსური დახმარების საშუალებით საინვესტიციო პროგრამის განხორციელების შეფასება იყო.

ოფიციალური ვიზიტის დროს, სურკოვი არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას დახურულ კარს მიღმა შეხვდა.

შეხვედრის შემდეგ გამართულ ბრიფინგზე ვლადისლავ სურკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ რუსული საინვესტიციო პროგრამის აფხაზეთში განხორციელება აფხაზურ და რუსულ მხარეებს შორის ხელმოწერილ დოკუმენტებს შეესაბამება. მისი თქმით,

„აფხაზეთში არსებული პოლიტიკური სტაბილურობა რესპუბლიკის განვითარებას უწყობს ხელს. იწყება საინვესტიციო პროგრამის მორიგი ეტაპი, რუსეთიდან ფინანსური სახსრები შემოდის, მომზადებულია ხარისხიანი დოკუმენტაცია ყველა ობიექტის შესახებ, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ინფრასტრუქტურული ობიექტებია, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ტურისტული, ეკონომიკური და სამრეწველო სექტორებისთვის.“

სურკოვის ცნობით, მოსკოვმა მოიწონა მილიარდ რუბლზე (დაახლოებით \$17 მილიონი) მეტი ღირებულების პროექტები. ეს არის სასტუმროების ბიზნესი, საკვები პროდუქცია და სოფლის მეურნეობა. მისი განმარტებით, „სასიხარულოა, რომ შეთანხმებულად მუშაობენ და ორი ქვეყნის ურთიერთობა ინტეგრაციის უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა. მატულობს სოციალური ინტეგრაცია და აფხაზეთის მაცხოვრებლებმა იგრძნეს, რომ გაიზარდა პენსიები და რიგი სხვა სოციალური დახმარება.“

ვლადისლავ სურკოვმა „ძალიან სერიოზულ ნაბიჯად“ მოიხსენია უსაფრთხოების სფეროში არსებული შეთანხმების ფარგლებში ერთობლივი საჯარისო დაგეგმვების შექმნა.

ბრიფინგის ბოლოს სურკოვმა და ხაჯიმბამ ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე, უცხო ქვეყნის მოქალაქეების მიერ, უძრავი ქონების შეძენის თემაზეც ისაუბრეს.

პირველად ჟურნალისტის შეკითხვას რაულ ხაჯიმბამ უპასუხა და ხაზგასმით აღნიშნა:

„რუსი ინვესტორების გარდა, ჩვენთან უცხოელი ინვესტორებიც მოდიან. საჭიროა, ყველასთვის შევქმნათ გარკვეული პირობები- ჩვენი მეგობრებისთვის რუსეთიდან და მათთვისაც, ვინც დამატებით პირობებს ქმნის ჩვენი ეკონომიკის ზრდისთვის“.

შემდეგ, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მრჩეველმა ისაუბრა,

„ვიცი, რომ უძრავი ქონების ბაზარი საკმაოდ მწვავედ არის შეზღუდული. კარგი იქნება თუ მოხდება მოქმედი კანონის ლიბერალიზაცია. თუკი ეს ბარიერი ჭკვიანურად იქნება მოხსნილი აფხაზეთის სუვერენიტეტისთვის რისკების გარეშე, ესეც წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება. ამის გარდა, ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ საინვესტიციო სააგენტოს, სადაც თავს იყრის საბიუჯეტო და კერძო ინვესტორების სახსრები, გამოცდილება თანდათანობით მოგვცემს კარგ ეფექტს და შექმნის ხელსაყრელ გარემოს. არსებული შეზღუდვები და განუვითარებელი ინფრასტრუქტურა აფხაზეთში საინვესტიციო ბუმს ვერ შექმნის.“

შეგახსენებთ, რომ „მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ“ რუსულ-აფხაზურ შეთანხმებას აფხაზეთისა და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტებმა 2014 წლის 24 ნოემბერს მოაწერეს ხელი *(ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <http://abkhazinform.com/item/6113-vladislav-surkov-rynok-nedvizhimosti-v-abkhazii-dovolno-zhestko-ogranichen>)*

ვლადისლავ სურკოვისა და რაულ ხაჯიმბას ურთიერთობის კონტექსტში აღსანიშნავია 2016 წელს, ოკუპირებულ აფხაზეთში აგორებული პოლიტიკური სკანდალი, რომელიც გამოიწვია უკრაინელი ჰაკერების («Киберхунта») მიერ სოციალური ქსელებში გავრცელებულმა საფოსტო მიმოწერებმა, რომელშიც 2014 წელს, აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხებში, რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის თანაშემწე, ვლადისლავ სურკოვი და ოკუპირებული აფხაზეთის 2014 წლის ე.წ. საპრეზიდენტო კანდიდატები რაულ ხაჯიმბა, ლეონიდ ძიაპშა და მერაბ ქიშმარია ფიგურირებდნენ.

მოქალაქეების და პოლიტიკოსების უკმაყოფილება 2014 წლის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე სამი კანდიდატის "საზოგადოებრივ შეთანხმებაზე" მოსკოვის რეაქციამ გამოიწვია.

აღნიშნულ დოკუმენტებში რუსული მხარე კანდიდატების მიერ ხელმოწერილი შეთანხმების ორი პუნქტით განსაკუთრებით იყო უკმაყოფილო. პირველი ეხებოდა შეთანხმებას, რომ

პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში ისინი ხელს არ მოაწერენ აფხაზეთის სუვერენიტეტის შემლახველ საერთაშორისო შეთანხმებებს; მეორე კი - დროებითი მორატორიუმის გამოცხადებას იმ კანონის მიღებაზე, რომელიც უცხოელებს აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენის უფლებას აძლევს.

ამ უკმაყოფილების ადრესატი რაულ ხაჯიმბა იყო, რომელიც საპასუხო წერილში წერდა, რომ „საზოგადოებრივ შეთანხმებას“ ხელი მხოლოდ ელექტორალური მოსაზრებების გამო მოაწერა და რომ ეს შეთანხმება არ წარმოადგენდა დამაბრკოლებელ გარემოებას მის მიერ საკუთარ თავზე აღებული იმ ვალდებულებების შესასრულებლად, რომელიც მანამდე შეთანხმა მოსკოვთან. ჰაკერებმა ხაჯიმბასა და სურკოვის დიალოგიც გასაჯაროვეს, რომელიც ე.წ. აფხაზური არმიის რუსეთის შეიარაღებულ ძალებთან შერწყმასა და სამხედრო თანამშრომლობას ეხებოდა. მიმოწერაში სურკოვი და ხაჯიმბა არადიარებელი აფხაზეთის ტერიტორიაზე ერთობლივი საპოლიციო საკოორდინაციო ცენტრის გახსნას და საზღვაო და სახმელეთო პუნქტების ერთობლივ კონტროლზე საუბრობდნენ. საუბარი ასევე ეხებოდა აფხაზეთში რუსული საპენსიო სისტემის ამოქმედებას და სოციალური დახმარებების გაცემას. *(ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე Эхо Кавказа <http://www.ekhokavkaza.com/a/28>*

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ვლადიმერ პუტინის ჩასვლა ე.წ. რესპუბლიკაში მხოლოდ ირიბადაა დაკავშირებული აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტის ვიზიტთან თბილისში და ნატოს მრავალეროვან სწავლებებთან „ღირსეული პარტნიორი 2017“.

შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ გაუარესებულმა კრიმინოგენულმა სიტუაციამ, ადამიანის უფლებების უხეშად დარღვევის მომატებულმა ფაქტებმა (დისკრიმინაციული კანონი აფხაზეთის რესპუბლიკის „უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ კანონი), დე-ფაქტო ხელისუფლებით აფხაზი ვეტერანების უკმაყოფილებამ, ქალთა უფლებების დარღვევის საზარელმა ფაქტებმა (ე.წ. ღირსების მკვლელობები, აბორტის აკრძალვა), საგრძნობლად შეარყია დე-ფაქტო ხელისუფლების და კერძოდ, ე.წ. პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბას ავტორიტეტი და სავარძელი.

ნათელია, რომ ვლადიმერ პუტინის, სერგეი ლავროვის და ვლადისლავ სურკოვის ვიზიტების მიზანი იყო ოკუპირებულ აფხაზეთში რუსეთის ინტერსების გამტარებელი დე-ფაქტო ხელისუფლების მხარდაჭერა, მისი პოზიციების გამყარება და საზოგადოებრივი აზრის შექმნა, რომ მხოლოდ რუსეთის ფედერაციას შეუძლია ოკუპირებული აფხაზეთის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფა (გაერთიანებული საჯარისო შენაერთის შექმნა), ინვესტიციების გზით ინფრასტრუქტურული პროექტების გახორციელება (შეთანხმება მოკავშირეობისა და სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ), გაუარესებული კრიმინოგენული სიტუაციის დარეგულირება (ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შექმნა).

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მცდარია აზრი, თითქოს ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა პოლიტიკური პარტია, საზოგადოებრივი მოძრაობები, არასამთავრობო ორგანიზაციები და ინტელიგენცია ეთანხმება დე-ფაქტო ხელისუფლების პრორუსულ კურსს. მოსალოდნელია, რომ ვლადიმერ პუტინის ვიზიტით გამოწვეული ეიფორია მალე გაივლის და ე.წ. ოპოზიციური პარტიები ისევ დაიწყებენ აქტიურობას. შესაძლოა საპროტესტო მიტინგების, გამოსვლების, ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების ყრილობების ახალი ტალღა, რის საშუალებასაც ოკუპირებულ აფხაზეთში არსებული მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონი იძლევა.

ყურადსაღებია ორი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც მუდამ თან სდევს რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელების ვიზიტებს. პირველი, ერთობლივი-საკოორდინაციო ცენტრის შექმნა, რომელსაც საზოგადოებას წარუდგენენ, როგორც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურ მექანიზმს. სინამდვილეში კი, ამ ახალი უწყებით ხდება აფხაზი ე.წ. ძალოვანი სტრუქტურების მეორე პლანზე გადაყვანა და მათი ჩანაცვლება რუსი ძალოვნებით. საკმარისია გავიხსენოთ ენგურის ხიდზე მდებარე ე.წ. სასაზღვრო პუნქტი, რომელზეც აფხაზი მესაზღვრეები სრულიად უფუნქციოდ არიან დატოვებულები და მოქალაქეების მოძრაობას ხიდზე მხოლოდ რუსი მესაზღვრეები აკონტროლებენ, რაც დიდ უკმაყოფილებას იწვევს აფხაზურ საზოგადოებაში. მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ქონებრივი საკითხები. შეგახსენებთ, რომ უცხო ქვეყნის მოქალაქეს და მოქალაქეობის არმქონე პირს არ აქვს უფლება ლეგალურად შეიძინოს უძრავი ქონება ოკუპირებული

აფხაზეთის ტერიტორიაზე და ამიტომ, ჯერჯერობით ფრთხილად, მაგრამ სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმის მოსაზრება, რომ ინვესტიციების მოსაზიდად აუცილებელია მოხდეს „უძრავი ქონების შესახებ კანონის ლიბერალიზაცია. ეს თემა არაერთხელ გაჟღერდა სერგეი ლავროვის და ვლადისლავ სურკოვის სოხუმში ვიზიტების დროს. ამ საკითხში ოფიციალური კრემლის პოზიციის გამხმოვანებლად შეიძლება ჩაითვალოს კონსტანტინე ზატულინი, რომელიც აცხადებს, რომ აუცილებელია შეიცვალოს მოქმედი კანონი და რუსეთის მოქალაქეობის მქონე პირებს მიეცეთ უძრავი ქონების საკუთრებაში შეძენის შესაძლებლობა. თავის განცხადებაში კონსტანტინე ზატულინი მუქარაზეც გადადის და ამბობს, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში რუსი ტურისტები სხვა, ამკარად უფრო კეთილმოწობილ, კურორტებზე დაისვენებენ. *(ხელმისაწვდომია რუსულენოვან ვებგვერდზე <https://zatulin.ru/v-abxazii-obsuzhdayut-vyskazyvaniya-surkova-i-zatulina/>).*

ფაქტიურად, ამ „უძრავი ქონების შესახებ“ კანონის ლიბერალიზაცია რუსების მიერ ოკუპირებული აფხაზეთის კოლონიზაციას და აფხაზეთში დემოგრაფიულ კატასტროფას გამოიწვევს.

09.08.2017